

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N16 - ელექტრონული ყულაბა

1. ელექტრონული ყულაბის საშუალებით ბანკი კლიენტს საშუალებას აძლევს განახორციელოს თანხის დაგროვება მის მიერ ელექტრონული ყულაბის განაცხადში მითითებული უნივერსალური ანგარიშ(ებ)იდან, ამავე განაცხადით განსაზღვრულ ანაზრის ანგარიშზე ან/და მიმდინარე ანგარიშზე. ამასთან, თანხის დაგროვება განხორციელდება განაცხადში მითითებული ოდენობით და იმ პირობით, რომ კლიენტი ფლობს ბანკის მიერ ემიტირებულ ერთ აქტიურ სადებეტო ბარათს მაინც.
2. კლიენტი უფლებამოსილია ფლობდეს ანაზრის ანგარიშზე ან/და მიმდინარე ანგარიშზე აქტიურ რამდენიმე ელექტრონულ ყულაბას. ამასთან, ერთი ანაზრის ანგარიშზე შესაძლებელია ერთი ელექტრონული ყულაბის გააქტიურება.
3. ანაზრის ანგარიშზე ელექტრონული ყულაბის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის ჭრილში გახსნილ იმ ტიპის ანაზრის ანგარიშზე სადაც დაშვებულია თანხის დამატება ან/და საბავშვო ანაზრის ანგარიშზე, იმ შემთხვევაში თუ კლიენტი უფლებამოსილია საბავშვო ანაზრის განკარგვაზე ბანკში დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.
4. იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ყულაბის გააქტიურება არ ხდება ანაზრის ანგარიშზე, მაშინ:
 - 4.1. ელექტრონული ყულაბის გააქტიურებისთანავე კლიენტს გაეხსნება მიმდინარე ანგარიშში, რომელზეც ელექტრონული ყულაბის ფარგლებში განხორციელდება თანხის დაგროვება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ელექტრონული ყულაბის განაცხადი, ასევე წარმოადგენს კლიენტის მიმართვას/განაცხადს ბანკისთვის გაუხსნას მას მიმდინარე ანგარიშში;
 - 4.2. კლიენტი უფლებამოსილია ელექტრონული ყულაბის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, მრავალჯერადად, მაგრამ თითოეულ ჯერზე არაუმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადით, დროებით შეაჩეროს ელექტრონული ყულაბით თანხის დაგროვება. ამასთან, კლიენტი უფლებამოსილია:
 - 4.2.1. ელექტრონული ყულაბით თანხის დაგროვების შეჩერების ვადის ლიმიტის ფარგლებში თვითონ განსაზღვროს ელექტრონული ყულაბით თანხის დაგროვების შეჩერების ვადა 1, 2, 3, 4, 5 ან 6 თვით;
 - 4.2.2. თანხის დაგროვების შეჩერებულ ელექტრონული ყულაბაზე ნებისმიერ დროს განაახლოს თანხის დაგროვება.
 - 4.3. ელექტრონული ყულაბით თანხის დაგროვების შეჩერების ვადის ამოწურვისთანავე ავტომატურად გაგრძელდება ელექტრონული ყულაბის მეშვეობით თანხის დაგროვება;
 - 4.4. ელექტრონული ყულაბის გამორთვის/გაუქმების შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია დახუროს ელექტრონული ყულაბით სარგებლობისთვის გახსნილი კლიენტის მიმდინარე ანგარიში.
5. იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ყულაბის გააქტიურება ხდება BOG sCoolApp მეშვეობით:
 - 5.1. ელექტრონული ყულაბის გააქტიურებისთანავე კლიენტს გაეხსნება მიმდინარე ანგარიშში, რომელზეც ელექტრონული ყულაბის ფარგლებში განხორციელდება თანხის დაგროვება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ელექტრონული ყულაბის განაცხადი, ასევე წარმოადგენს კლიენტის მიმართვას/განაცხადს ბანკისთვის გაუხსნას მას მიმდინარე ანგარიშში;
 - 5.2. BOG sCoolApp მეშვეობით გახსნილი ელექტრონული ყულაბის მიმდინარე ანგარიშზე თანხის დაგროვება მოხდება მხოლოდ sCool Card-ის ანგარიშიდან.
 - 5.3. კლიენტი უფლებამოსილია ელექტრონული ყულაბის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, მრავალჯერადად, მაგრამ თითოეულ ჯერზე არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადით, დროებით შეაჩეროს ელექტრონული ყულაბით თანხის დაგროვება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ელექტრონული ყულაბის მოქმედება ავტომატურად აღდგება.
 - 5.4. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს ელექტრონული ყულაბის ბალანსი, მათ შორის 1 წლის დარიცხვების ისტორია სრულად, ან/და თვეების ჭრილში.
 - 5.5. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერი დროს გააქუმოს ელექტრონული ყულაბით სარგებლობა, რა დროსაც ელექტრონული ყულაბის მიმდინარე ანგარიშზე დაგროვილი თანხა ავტომატურად გადაირიცხება კლიენტის sCool Card ანგარიშზე.
 - 5.6. დაუშვებელია კლიენტის მიერ ელექტრონული ყულაბის მიმდინარე ანგარიშიდან თანხის მესამე პირებთან გადარიცხვა.
6. ელექტრონული ყულაბის მიზნებისთვის განხსნილ მიმდინარე ანგარიშზე სრულად ვრცელდება საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N2 - ანგარიშის პირობები, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული ყულაბის მოქმედების პერიოდში კლიენტს არ ეკისრება

ელექტრონული ყულაბის მიზნებისთვის განხსნილი მიმდინარე ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიოს და ანგარიშის გახსნის საკომისიოს გადახდა.

7. ანაბრის ანგარიშზე ელექტრონული ყულაბის გააქტიურება, მასში ცვლილების შეტანა და გაუქმება შესაძლებელია შემდეგი არხების საშუალებით:
 - 7.1. ინტერნეტ ბანკი;
 - 7.2. მობილ ბანკი;
 - 7.3. გადახდის თვითმომსახურების ტერმინალი (შესაძლებელია მხოლოდ გააქტიურება);
 - 7.4. ბანკის სერვის-ცენტრი.
 - 7.5. ტელეფონ ბანკი;
 - 7.6. იმეილ ბანკი (SOLO ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე ან დაგროვილი ქონების მართვის მომსახურების კლიენტის შემთხვევაში).
8. მიმდინარე ანგარიშზე ელექტრონული ყულაბის გააქტიურება, მასში ცვლილებების შეტანა და გაუქმება შესაძლებელია შემდეგი არხების საშუალებით:
 - 8.1. მობილ ბანკი;
 - 8.2. ბანკის სერვის-ცენტრი;
 - 8.3. BOG sCoolApp;
 - 8.4. იმეილ ბანკი (SOLO ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე ან დაგროვილი ქონების მართვის მომსახურების კლიენტის შემთხვევაში).
9. თუ ელექტრონული ყულაბა აქტიურდება ანაბრის ანგარიშზე, მაშინ ელექტრონული ყულაბის ვალუტა განისაზღვრება ანაბრის ვალუტის შესაბამისად.
10. თუ ელექტრონული ყულაბა აქტიურდება მიმდინარე ანგარიშზე, მაშინ ელექტრონული ყულაბის ვალუტა შესაძლებელია იყოს მხოლოდ ლარი.
11. ელექტრონული ყულაბის ფარგლებში თითოეულ ოპერაციაზე დასაგროვებელი/შესაბამის ანგარიშზე გადასარიცხი თანხის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია შემდეგი თანხობრივი მნიშვნელობებით, ვალუტის შესაბამისად: 0.25; 0.5; 1; 2; 3; 4; 5; 10.
12. ელექტრონული ყულაბის ფარგლებში თანხის დაგროვება (შესაბამის ანგარიშზე თანხის გადარიცხვა) განხორციელდება შემდეგი ოპერაციების ჩატარებისას:
 - 12.1. თანხის გადახდა (გარდა კონვერტაციის ფარგლებში განხორციელებულ გადახდებისა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდებისა);
 - 12.2. თანხის გადარიცხვა (გარდა კონვერტაციის ფარგლებში ან კლიენტის ანგარიშებს შორის განხორციელებული გადარიცხვებისა);
 - 12.3. თანხის განაღდება ბანკომატიდან;
 - 12.4. განაღდება ბანკის პოს-ტერმინალის მეშვეობით.
13. ელექტრონული ყულაბით დასაგროვებელი თანხის გადათვლა განხორციელდება შესაბამისი ოპერაციის ამონაწერში ასახვის დღეს და იმავე დღეს ჯამურად გადარიცხება შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე.
14. იმ შემთხვევაში თუ დასაგროვებელი თანხის გადათვლისას ანგარიშ(ებ)ზე, საიდანაც უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვა, არ არის საკმარისი თანხა, დაგროვებისთვის განკუთვნილ შესაბამის (ანაბრის ან/და მიმდინარე) ანგარიშ(ებ)ზე თანხის გადარიცხვა მოხდება ანგარიშ(ებ)ზე (საიდანაც უნდა განხორციელდეს გადარიცხვა) არსებული თანხის ფარგლებში დასაგროვებელი თანხის ჯერადად. ამასთან, გადარიცხვა განხორციელდება (ანაბრის ან/და მიმდინარე) ანგარიშ(ებ)თან მიმართებით ელექტრონული ყულაბის გააქტიურების თარიღის შესაბამისი თანმიმდევრობით (პრიორიტეტი ენიჭება გააქტიურების უფრო ადრინდელი თარიღის ელექტრონულ ყულაბას).
15. იმ შემთხვევაში თუ სადებეტო ბარათის საბარათე ანგარიშს წარმოადგენს მულტისავალუტო ანგარიში, მაშინ:
 - 15.1. კლიენტი უფლებამოსილია ელექტრონული ყულაბის მეშვეობით თანხის დაგროვებისთვის აირჩიოს როგორც ბარათის ერთი კონკრეტული ვალუტის საბარათე ანგარიში, ისე ბარათის რამდენიმე (მათ შორის ყველა) ვალუტის საბარათე ანგარიში, შესაბამისად აღნიშნული ანგარიშ(ებ)ის გამოყენებით შესრულებული ოპერაციის შემთხვევაში დაგროვდება თანხა ელექტრონული ყულაბის მეშვეობით.
 - 15.2. იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციის შესრულების ანგარიშ(ებ)ზე არ არის თანხის დაგროვებისთვის საკმარისი თანხა, მაშინ დაგროვებისთვის განკუთვნილ შესაბამის (ანაბრის ან/და მიმდინარე) ანგარიშზე თანხის გადარიცხვა განხორციელდება, კონვერტაციის გზით, ბარათის მულტისავალუტო ანგარიშის (ყველა ვალუტის ანგარიშის) ჯამური თანხის (ლიმიტის) გათვალისწინებით. ამასთან, კონვერტაცია განხორციელდება გადარიცხვის დღეს ბანკში არსებული კომერციული კურსით,

შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის **ზარათის** ძირითადი ვალუტა.

16. იმ შემთხვევაში თუ **ელექტრონული ყულაბით** თანხის დაგროვებისთვის განსაზღვრული **ანგარიშის** ვალუტა განსხვავდება დაგროვებისთვის განკუთვნილი (ანაზრის ან/და მიმდინარე) **ანგარიშის** ვალუტისაგან, მაშინ **ანგარიშზე** თანხის გადარიცხვა განხორციელდება, **კონვერტაციის** გზით გადარიცხვის დღეს **ბანკში** არსებული კომერციული კურსის შესაბამისად.
17. **ბანკი** უფლებამოსილია არ მოახდინოს დასაგროვებელი თანხის გადატანა, იმ შემთხვევაში თუ დაგროვებისთვის განკუთვნილ შესაბამის (ანაზრის ან მიმდინარე) **ანგარიშ(ებ)ზე** არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა და შესაბამისად შეზღუდულია აღნიშნულ **ანგარიშ(ებ)ზე** ჩარიცხვა ან გადარიცხვა.
18. ანაზრის რომელიმე **ანგარიშის** ვალუტის ცვლილების ან ანაზრის დახურვის ან ანაზრის დაკონვერტირების ან **ანგარიშ(ებ)ის** დახურვის შემთხვევაში ავტომატურად განხორციელდება **ელექტრონული ყულაბის** გამორთვა.
19. იმ შემთხვევაში თუ **ელექტრონული ყულაბა** ჩართულია რამდენიმე ანაზარზე, **ელექტრონული ყულაბა** გაითიშება ავტომატურად თუ **განაცხადით** განსაზღვრული ყველა ანაზარ(ებ)ის მოქმედების ვადა შეწყდება ნებისმიერი მიზეზით.